შპს „ჯი პი სი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების

საღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თბილისი
2020

1. *ზოგადი ინფორმაცია*

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი პი სი“, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირი, დაფუძნებულია 2015 წლის 12 დეკემბერს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და დარეგისტრირდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი პი სი“, რეგისტრაციის 25 12 2015 წ.საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განახორციელა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 405130111 საზოგადოების პარტნიორები არიან:

- 31001030163, ნუგზარ რობაქიძე--------100 %

საზოგადოებას მოქმედი წესდებით უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.მისი ძირითადი ფაქტიური საქმიანობაა გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა,(ელქტროგადამცემი ხაზების მშენებლობა;მაგისტრალური და გამანაწილებელი გაზსადენების მშენებლობა; წყალსადენის მაგისტრალებისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა), საქონლის იმპორტი იმპორტი და რეალიზაცია, საქართველოში. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია. 01.01.2018 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა 101 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 31.12.2018 წლისათვის კი 21 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.სააღრიცხვო პოლიტიკა , რომელიც მოცემულია განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას .წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი (სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული კურსით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თან-ხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამო-ღების აღბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.ნასესხებ

სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის. ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15%-იანი განაკვეთის საფუძველზე.

სასაქონლო–მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტის სახეობა	31/12/2018
1 აშშ დოლარი	2,5922

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ.

ათას ლარამდე ღირებულების ძ/ს	*20%*
მანქანა დანადგარები	*20%*
ნაგებობები	*5%*
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	*20%*
სატრანსპორტო საშუალებები	*20%*

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 01.01.18	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.18
	შენძენის ღირებულება				
1	ათას ლარამდე ღირებულების ძ/ს	62306	1704		64010
2	მანქანა დანადგარები	479706	155876		635582
3	ნაგებობები	4195			4195
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	31980	2839		34819
5	სატრანსპორტო საშუალებები	1122016	364366		1486382
6					
7					
8					
	ჯამი	1700203	524785		2224988
	ობიექტის დასახელება	**ნაშთი 01.01.18**	**შემოსვლა**	**ცვეთა**	**ნაშთი 31.12.18**
	დარიცხული ცვეთა				
	ათას ლარამდე ღირებულების ძ/ს	51279	1704	12616	40367
2	მანქანა დანადგარები	361318	155876	121220	395974
3	ნაგებობები	3833		190	3643
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	25305	2839	6497	21647
5	სატრანსპორტო საშუალებები	796795	364366	273267	887894
6					
	ჯამი	**1238530**	**524785**	**413230**	**1349525**

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15%-იანი განაკვეთის გათვალისწინებით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

(ლარი)

	დასახელება	**ნაშთი 31.12.2018**
1	სას. მატ. მარაგები	1475802
	ჯამი	1475802

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი ღირებულებით.

7. გაცემული სესხები

საზოგადოებას ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდში სესხები გაცემული არა აქვს.

(ლარი)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	**ნაშთი 31.12.2018**
1	სავაჭრო მოთხოვნები	0
2	გადახდილი ავანსები	0
	ჯამი	**0**

9. ფულადი სახსრები და ეквივალენტები

	დასახელება	**ნაშთი 31.12.2018**
1	ფული სალაროში	0
2	ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	1321
3	ფული საბანკო ანგარიშზე (უცხოური ვალუტა)	429
	ჯამი	**1750**

10. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 2 000 ლარს.აღნიშნული სიდიდით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ჩამოყალიბებულია 2015 წლიდან და შემდგომში მეტად აღარ შეცვლილა.

11. რეზერვები და დაფინანსება

საზოგადოებაში ინვესტიციები და მიზნობრივი დაფინანსება განხორციელებულია დამფუძნებლის მხრიდან 2015 -2016 წლებიდან.

საზოგადოების ბალანსზე რიცხული რეზერვებისა და მიზნობრივი დაფინანსების ნაშთების/თანხების გამოყენება და განკარგვა: შემცირება ან/და ინვენსტორრებისათვის უკან დაბრუნება ხორციელდება ასევე მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები ჯამურად 1786287 ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს სს ბაზისბანკი”-დან მიღებულს გრძელვადიან სესხს.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	**ნაშთი 31.12.2018**
1	სავაჭრო ვალდებულებები	1005047

3	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	
	ჯამი	1005047

14. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

საზოგადოებას ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდში მიმდინარე სასესხო ვალდებულებები არ გააჩნია.

15. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	**2018 წელი**
1	ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	633813
2	შემოსავლები სამშენებლო სამუშაოებიდან	7561413
3	სხვა შემოსავლები	
	ჯამი	**8195226**

16. ფინანსური რისკების მართვა

საზოგადოებაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. საზოგადოებას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საზოგადოების მიერ კონტრაგენტებისათვის საქონლის მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს საზოგადოებისათვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საეჭვო ვალების რეზერვის შექმნით.

საბაზრო რისკი. საზოგადოება განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საზოგადოებას გააჩნია მიღებული/გაცემული სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები.

	31.12.2018	
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები -დეპოზიტი	5366	-
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ვალდებულებები (მიღებული სესხები)	--188069	
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა	**-182703**	

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა ეროვნულ ვალუტაში; შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში; დამატებით იჯარიდან მისაღები შემოსავლები დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში (შესაბამისი კურსით ლარებში, რომელიც არსებული ტენდეციებიდან გამომდინარე მხოლოდ დადებითად მოქმედებს სავალუტო რისკის „გაუვნებელყოფებაზე“), რამდენადაც საწარმოს გააჩნია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული სოლიდური ვალდებულება - კრედიტ(ებ)ი - ამდენად საწარმოს ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

17. კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა პარტნიორებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

19. განუსაზღვრელი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ საზოგადოების გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანიის დაგირავებული ან/და შეზღუდული აქტივები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

შპს ,,ჯი პი სი“
ნუგზარ რობაქიძე

GPC LLC

Digitally signed by GPC LLC
DN: cn=GPC LLC, 2.5.4.97=NTRGE-405130111, o=•••••••••, c=GE
Date: 2020.03.18 19:29:30 +04'00'

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები მომხმარებლები

შპს ჯი პი სი, ს/ნ: 405130111
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

ჩამოტვირთე

2018 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია.
სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგ

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

'ლარი '000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☑ შეღავათების გარეშე ☐

საქმიანობის შედეგები

	2018
ნეტო ამონაგები	8,195,226
საქონლის გაყიდვიდან	633,813
მომსახურების გაწევიდან	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	7,561,413
სხვა	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9,852,122
საწყისი მარაგები	-7,399,692
მარაგების შესყიდვა	-3,928,232
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	1,475,802
საერთო მოგება	-1,656,896
სხვა შემოსავალი	0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

დასაქმებულთა ანაზღაურება	-1,945,123
ცვეთა და ამორტიზაცია	-413,989
საპროცენტო შემოსავალი:	0
საპროცენტო ხარჯი :	0
იჯარის ხარჯი	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-2,359,112
საოპერაციო მოგება	-4,016,008
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	0
მარაგები	0
სხვა არაფინანსური აქტივები	1,872,119
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2,143,889
მოგების გადასახადი	0
მოგება/(ზარალი)	-2,143,889
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-2,143,889
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2,151,799
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-2,143,889

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,910

ანგარიშგება

შენახვა

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები მომხმარებლები

შპს ჯი პი სი, ს/ნ: 405130111
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

ჩამოტვირთე

2018 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია.
სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგ

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

'ლარი '000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☑ შეღავათების გარეშე ☐

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2018	31/12/2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,750	612,415
სავაჭრო მოთხოვნები	0	0
გადახდილი ავანსები	0	1,372,156
მარაგები	🔒 1,475,802	🔒 7,399,692
მზა პროდუქცია	1,475,802	7,399,692
სხვა	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	🔒 0	🔒 0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	1,349,525	1,238,529
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	71,120	0
სულ აქტივები	2,898,197	10,622,792
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1,005,047	4,561,686
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	98,953	2,195,875
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,786,287	1,713,432
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	2,890,287	8,470,993
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	7,910	2,151,799
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	7,910	2,151,799

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,898,197	10,622,792

ანგარიშგება

შენახვა

ტექნიკური მხარდაჭერისათვის დაგვიკავშირდით ელ. ფოსტის მისამართზე: info@reportal.ge

ანგარიშგებები მომხმარებლები

შპს ჯი პი სი, ს/ნ: 405130111
ადმინისტრატორი

+ ანგარიშგების დამატება

ჩამოტვირთე

2018 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება

იმ საწარმოთა საყურადღებოდ, ვინც 2018 ან 2017 წელს წარადგინა ანგარიშგება!

ვებგვერდის განახლების გამო ვერ ხერხდება თქვენ მიერ გასულ წელს შევსებული ინფორმაციის ავტომატურად გადმოტანა ახალ სისტემაში. აღნიშნული ინფორმაცია შენახულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ანგარიშგების წარდგენის ჩანართში. გთხოვთ, მიმდინარე წლის ინფორმაციის შევსებისას ასევე შეავსოთ შესადარისი ინფორმაცია.
სამსახური მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ციფრული ფორმები

გამარტივებული ფორმები მესამე კატეგ

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანს

არჩევა

ციფრული ფორმების შევსების ერთეული

'ლარი '000 ლარი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი)

ფინანსური მდგომარეობა საქმიანობის შედეგები ფულადი სახსრების მოძრაობა

არ წარვადგენ შესადარის ინფორმაციას ☑ შეღავათების გარეშე ☐

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,444,487
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-8,055,152
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-610,665
სავალუტო კურსის ეფექტი	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	612,415
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,750

< ანგარიშგება

შენახვა